ოქმი:**ო02.37221801**

თარიღი:**29/06/2022**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. მახარაძე, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, ალ.ბურჭულაძე, ვლ. ხავთასი, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, დ.მდინარაძე, გ.შილაკაძე, ბ.კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,უსახლკარო პირების მიერ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ფართის მიზანმიმართულად გამოყენების და მობინადრეთა მიერ მათი ექსპლუატაციის მდგომარეობის“ შესწავლა და განხილვა.

მომხს: ბ.თოიძე

თანამომხს: მ. ცელაძე.

2. შემოსული კორესპოდენცია (ჭანიეთურის, ციხისფერდის, კონჭკათის მოსახელობის კოლექტიური განცხადება)

მომხს: ბ.თოიძე.

3. შემოსული კორესპონდენცია (წმინდა გიორგის ქუჩის N II ჩიხის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება)

მომხს: ბ.თოიძე

4. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის ინიციატივა (პარკირების სფეროს მართვის უფლების პირობიანი აუქციონით გადაცემის თაობაზე

მომხს: ბ.თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის

წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, ვრცლად საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსმა მ.ცელაძემ. აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ, უსახლკარო მრავალბინიანი სახლების საცხოვრებლად გამოუსადეგარ ბინაში მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის, შეფასების, შერჩევის, მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის კრიტერიუმების დადგენის და გადაცემული ფართის სარგებლობის ფაქტის მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი არის სამუშაო ჯგუფი. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომელიც ეტაპობრივად ეცნობება კომისიას.

კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული N2 და N3 საკითხები, კომისიის წევრებს გააცნო ბ.თოიძემ. აღნიშნა, რომ აღნიშნული განცხადებები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას, ხოლო მე-4 საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის ინიციატივას (პარკირების სფეროს მართვის უფლების პირობიანი აუქციონით გადაცემის თაობაზე“ შესახებ, ბ.თოიძემ განმარტა, რომ ინიციატივა კარგია, მაგრამ წერილს არ ახლავს პროექტი, ანალიზი და დასაბუთება. აღნიშნა, რომ მხოლოდ იდეის არსობრივ განხილვაში კომისია მონაწილეობას ვერ მიიღებს.

გადაწყვიტეს:

1. სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად და პროცესების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში, კომისიისათვის წარმოდგენილ იქნას, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში.

2. N2 და N3 საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი განცხადებები, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

3. N3 საკითხი, განხილული და შესწავლილი იქნება კომისიის მიერ მას შემდეგ, როდესაც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი პროექტი, ანალიზი და დასაბუთება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი